დაიჯესტი

19 - 25 თებერვალი, 2022

TRC ტერორიზმის კვლევითი ცენტრი
TERRORISM RESEARCH CENTER

ამერიკის შეერთებული შტატები

22 თებერვალს, ფედერალურმა სააპელაციო სასამართლომ მხარი დაუჭირა სანაპიროს ყოფილი დაცვის 13 წელზე მეტი ვადით თავისუფლების აღკვეთას. ოფიცერს ბრალად ედება იარაღის შეგროვება და პოლიტიკურად მოტივირიებული მკვლელობები, შთაგონებული ულტრამემარჯვენე სერიული მკვლელის მხრიდან.

23 თებერვალს, ბაიდენის ადმინისტრაციამ დააწესა სანქციები იმ საერთაშორისო ბიზნეს-ქსელის მიმართ, რომელიც აფინანსებს იემენელ ჰუსიტ მეამბოხეებს.

თურქეთი

20 თებერვლას, თურქეთის თავდაცვის მინისტრმა ჰულუსი აქარმა თქვა, რომ თურქეთი და ერაყი შეთანხმდენენ ტერორიზმის წინააღმდეგ ერთობლივი ძალისხმევის გაწევაზე.

საუდის არაბეთი

21 თებერვალს, საუდის არაბეთის სახელმწიფო საინფორმაციო სააგენტოს მიხედვით 16 სხვადასხვა ეროვნების ადამიანი დაიჭრა აეროპორტში, იემენიდან გაშვებული ასაფეთქებლებით დატვირთული დრონების შეჭრისა და განადგურების შედეგად.

არაბთა გაერთიანებული საამიროები

23 თებერვალს, სახელმწიფო საინფორმაციო სააგენტოს (WAM) თანახმად, არაბთა გაერთიანებულმა საამიროებმა ტერორისტებად გამოაცხადა 1 იურიდიული პირი და 5 სუბიექტი, რადგან ისინი დაკავშირებულია იემენელი ჰუსიტების მხარდაჭერასთან.

ნიგერია

მთავრობის განცხადებით, 18 მშვიდობიანი მოქალაქე ემსხვერპლა სატრანსპორტო მანქანაზე თავდასხმას, დასავლეთ ნიგერიის იმ ნაწილში, რომელიც ხშირად არის ისლამისტი მებრძოლების სამიზნე.

კოტ-დ'ივუარი

20 თებერვალს, დაიწყო ამერიკის შეერთებული შტატების ყოველწლიური კონტრტერორისტული სასწავლო პროგრამა აფრიკის შეარაღებული ძალებისთვის ქვეყნის სანაპიროზე. აღნიშნული სასწავლო პროგრამა ცნობილია ფლინტლოქის სახელით, რომელიც აერთიანებს 400 ჯარისკაცზე მეტს დასავლეთ აფრიკის სანაპიროდან. პროგრამის მიზანია შეიარაღებული ძალების, რომელთა ნაწილი განიცდის ალ-კაიდასთან დაკავშირებული ჯგუფებიდან თავდასხმებს, უნარების გაძლიერება.

ავღანეთი

ავღანეთის ტალიბანის პრეს-ცენტრის განცხადებით, ქვეყანა აღშფოთებულია უკრაინაში მიმდინარე პროცესებით და მხარეებს კონფლიქტის დეესკალაციისკენ მოუწოდა.

პაკისტანი

23 თებერვალს, პაკისტანის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, უშიშროების ძალებმა დაარბიეს ისლამისტი ექსტრემისტების თავშესაფარი, რასაც მოჰყვა ინტენსიური სროლა. სამხედროების განცხადებით, დაღუპულია 10 მეამბოხე.